ცნობის ფურცელი

I Წ. ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ 1901 ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 17 ᲛᲐᲘᲡᲘ № 1467

ᲤᲐᲡᲘ ᲓᲘᲠᲐᲡ: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ბარათის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ... ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისაკენ (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 372.

ტფილისის კერძო ამკურნალო ᲫᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

...ოფებს იღებენ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირა უქმეების გარდა,

ᲓᲘᲓᲦᲘᲗ:

. ᲯᲘᲯᲘᲜᲐᲫᲔ — კბილის სნეულებანი 8 — ...საათამდე.

...ᲮᲕᲘᲚ Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ნერვებისა და ...ობა ელექტრონით — 9 — 10 ს.

. Ა. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ — ᲧᲔᲠᲘᲡᲐ, ᲣᲧᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲕᲘᲠᲘᲡ 11—12 საათამდე.

. Ბ. ᲮᲐᲠᲯᲨᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — კბილის სნეულებანი ...) — 12 საათამდე.

. Გ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ — თვალისა 11—12 ს.

...ᲛᲘ ᲥᲐᲯᲘ Მ. Ს. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ-ᲑᲐᲒᲨᲕᲘᲡᲐ 11 —12 ს.

. Ე. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ნერვებისა და შინა... — 12 — 1 საათამდე.

. Ზ. ᲤᲔᲮᲓᲠᲝᲕᲘ შინაგანი და სებაგშვო... 2 ს.

. Თ. ᲛᲐᲠᲯᲔᲕᲘᲩᲘ — სადასტაქრო — $12^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3 — 4 საათამდე.

. Ი. ᲑᲔᲖᲝᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ — სიფილისისა, კანისა და ...ᲠᲓᲔᲡᲘ — $1^1/_2$ — 2 საათამდე.

ᲡᲐᲓᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

. Ნ. ᲗᲣᲛᲨᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ — დედათა სნეულებანი ... — 6 საათამდე.

. Ა. ᲑᲔᲓᲝᲒᲝᲓᲝᲕᲘ. — შინაგანი (სტომაქის ...ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲑᲘᲗᲘ) და ᲛᲘᲙᲠᲝ-ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐ. — 5 — 6 საათზე.

. ᲛᲐᲓᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — კვირაობით — 10 — 12 ს. ...ᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲣᲤᲝᲚᲘ ᲝᲗᲮᲔᲑᲘ.

...ᲒᲘᲡᲘ ᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡᲐ 50 კ.; ᲝᲠᲗᲔᲑᲘ — ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ. კრაფტი 4 მან. დღე და ...ᲔᲑᲘ. ერთი კრაფტი დარიბთათვის უფასოდ. ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ...ᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, № 21 (ვარანცოვის ძეგლის ...ᲓᲐᲜᲘ). ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274. (წ.)

...ᲛᲝᲠᲐᲕᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲛᲠᲔ...ᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ, თანახმად მარ...ᲔᲪᲘᲡ სამრეწველო ჭიათურის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დამფუძნე...ᲗᲐ კერძო კრების დადგენილებისა, ...ᲛᲔᲚᲘᲪ მოხდა 1901 წლის 12 მაისს, ...Თ აცხადებს, რომ პირველი კრება ხსენებულ საზოგადოების წევრთა დანიშნულია 1901 წ. 22 მაისს, სამშაბათს, დილის ...საათზე, საბჭოს სადგომში, ქუთაისში.

კრების საგნები:

1) არჩევა კრების თავჯდომარისა.
2) განხილვა და დამტკიცება მომავალ საანგარიშო წლის ხარჯთ-აღრიცხვისა ...
3) არჩევა მოხელეთა:
   ა) გამგეობის წევრთა,
   ბ) საბჭოს წევრთა,
   გ) სარევიზიო კომისიის წევრთა.

(3—2)

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ

...ᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გადაყვიდა საკუთარ სახლში ᲧᲝᲠᲝᲚᲔᲜᲝᲕᲘᲡ ქუჩა, № 16.

...ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲓᲦᲔᲘᲗ 12—1 ს., ...ᲓᲐᲛᲝᲗᲘ 6—7 ს. (10—6—5)

ᲓᲔᲙᲔᲠᲢᲘ

(„ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲠᲢᲗᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲐᲒᲐᲜ“)

14 ᲛᲐᲘᲡᲘ.

...ᲜᲐᲑᲔᲠᲔᲯᲜᲐᲘᲐ-ᲩᲔᲚᲜᲘ (უფას გუბერნიაში). ზაინსკში 600 სახლი გადაიწვა; დაზარალდა 3000 კაცამდე. დამხმარებელმა კომიტეტმა, რომელიც შესდგა თავად-აზნურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით, მოაწყო ხუთი სასადილო დაზარნლებულთათვის.

15 ᲛᲐᲘᲡᲘ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. 14 მაისს პეტერბურგი მორთული იყო დროშებით. ყველა ეკლესიებში გადახდილი იქმნა პარაკლისები. ისაკის საკრებულო ტაძარში დღვთის-მსახურება გადაიხადა მიტროპოლიტ ანტონმა. სალამოს ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. მოსკოვიდან, ყაზანიდან, ვილნოდან, ვოლოგდიდან, ომსკიდან, ჩერნიგოვიდან და ნოვგოროდიდან დეპეშები მოვიდა პარაკლისების გადახდის შესახებ.

ᲑᲠᲔᲡᲢ-ᲚᲘᲢᲝᲕᲡᲙᲘ. ცეცხლმა, რომელიც აქ გაჩნდა 28 აპრილს, გაანადგურა 653 შენობა; დაზარალდა 494 სახლის პატრონი და 20 ათასამდე მდგმური, რომელთა უმრავლესობას მთელი საცხოვრებელი დაეწვა. ზარალი 7 მილიონ მანეთამდეა. დამხმარებელი კომიტეტი სთხოვს რედაქციებს მიიღონ შეწირულებანი და გამოგზავნონ კომიტეტის სახელზე.

ᲜᲘᲟᲜᲘ-ᲜᲝᲕᲒᲝᲠᲝᲓᲘ აქაურ სახლის პატრონის რუკავიშნიკოვის მემკვიდრეებმა წარუდგინეს ქალაქის გამგეობას 80 ათასი მანეთი, ნაანდერძევი ბავშვების საავადმყოფოს დასაარსებლად.

ᲨᲐᲜᲰᲐᲘ. «China marchand C-⁰»-ს ბრძანება მოუვიდა დაიწყოს გემების დატვირთვა ბრინჯით, რომელიც ტიანძინში იგზავნება ხარკად. ამ ბრძანებას აქ სთვლიან იმის ნიშნად, რომ, მეფის ოჯახი მალე დაბრუნდება პეკინში.

ᲰᲐᲕᲠᲘ. ფორთოხალი, რომელიც ნაციონალისტმა პარფენ ესროლა ვალდეკ-რუსსოს, მოხვდა უკანასკელის მეუღლეს თავში და მსუბუქად დასჭრა.

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. ელჩების გუშინდელს სხდომაზე კვლავ ირჩეოდა საკითხი პროვინციებში ეგზამენების მოსპობის შესახებ. ინგლისის ელჩის გარდა, ყველა იმ აზრისაა, რომ ეგზამენები დატოვებულ იქმნას მხოლოდ პეკინში, სადაც გამოსაცდელად მოდიან კანდიდატები მთელ იმპერიიდან. ინგლისის ელჩი წინააღუდგა ამ წინადადებას და ურჩევდა ელჩებს—სხვა ცენტრალური ქალაქი დაინიშნოს ეგზამენების მოსახდენადო. ამ საკითხის შესახებ ელჩები ჯერ ვერ შეთანხმდნენ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ აქ ორი ჯარის-კაცი გახდა ავადმყოფი ჭირით; ეს ჯარის-კაცები კაპშტადტიდან ჩამოსულან.

ᲙᲐᲞᲨᲢᲐᲓᲢᲘ. 13 მაისამდე შავი ჭირით ავადმყოფი ყოფილა 608 კაცი, რომელთაგან 308 მომკვდარა.

სანდრივერპორტიდან იტყობინებიან, რომ პოლკოვნიკი ვილსონი შეეცადა ბრეიერის რაზმი მოემწყვდია ნალსტრომისა და სანდრივერის შუა. ცდამ უნყოფოდ ჩაიარა, რადგანაც ჯარებმა, რომელთაც უკანიდან უნდა მოეარათ ბურებისათვის, დაიგვიანეს. ინგლისელთ ხელში ჩაუვარდათ 40 ფურგონი, სამხედრო მასალით დატვირთული, და საქონელი. ბურები უმეტესად ქვეითები იყვნენ. ბრიტანელთ ერთი მოუკლეს, ექვსი დაუჭრეს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან, რომ 10 მაისს დიდ-ძალი ბური თავს დაესხა ვენტერსდორფისა და პოტჩეფსტორმის შუა მიმავალ ინგლისელთა ფურგონებს. ბურები უკუქცეულ იქმნენ; ინგლისელთ 4 კაცი მოუკლეს და 30 დაუჭრეს. ფურგონები უვნებლივ მივიდნენ დანიშნულ ადგილას.

ᲛᲘᲚᲜᲣᲠᲒᲘ. ინგლისელთ დანებდა 16 ბური, რომელთაც თან მოიყვანეს 12,500 მსხვილ-ფეხა საქონელი, 12 ათასი ცხვარი და 30 ცხენი; ყველა ეს საქონელი ბურებს, უფროსის ოპპენგეიმის ბრძანებით, ჩრდილოეთისაკენ უნდა გაერეკათ.

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. ვალდერზეე პრინციპიალურად დაეთანხმა ლიხუნჩანგის შემდეგ წინადადებათ: 1) გაიყვანოს პეკინიდან ჯარები, როდესაც მეფის ოჯახი პეკინისაკენ წამოვა; 2) ნება მისცეს ჩინელ სამხედრო პოლიციას თან-და-თან დაიკავოს პეკინის მიდამოები; 3) ნება მისცეს, რომ იუნშიკაის საიმედო 3000 ჯარის კაცი მოვიდეს პეკინში, რათა წესიერება დაიცვას უცხოელთა წასვლის შემდეგ. მაგრამ ჯერ ამ წინადადებათა შესახებ საბოლოო გარდაწყვეტილება არ მომხდარა.

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. სხვა-და-სხვა სახელმწიფოს ჯარები, როგორც ეტყობა, იმ აზრისანი არიან, რომ ჩინეთის საქმეები მალე საბოლოოდ გადაწყვეტილ იქნებაო; ყველანი ემზადებიან, რომ ჯარები მალე გაიყვანონ პეკინიდან. ბრიტანიის სამხედრო გემებმა ბძანება მიიღეს, რომ მზად იყვნენ წასასვლელად. ვალდერზეე თიბათვის ნახევარში აპირებს წასვლას. ჩინეთის იმპერატორმა ბძანება მისცა მოხელეებს, რომ სასახლეები დაამზადონ იმპერატორის სახლობისათვის, რომელიც უცხოეთის ჯარების წაყვანის შემდეგ დაბრუნდება პეკინში.

ᲢᲘᲐᲜᲫᲘᲜᲘ. ინდოეთის მეოთხე ბრიგადა ინდოეთში დაბრუნდა. გენერალ კუმანგის შტაბი ბეკაპაროს პოლკთან ერთად წავიდა აქედან.

ᲮᲐᲑᲐᲠᲝᲕᲡᲙᲘ. 11 მაისს ვლადივოსტოკში, საბჭოს დარბაზში, სადღესასწაულო სხდომა გამართეს იმის სახსოვრად, რომ 10 წლის წინად მემკვიდრე-ცესარევიჩი, ხოლო ეხლანდელი ბედნიერი ხელმწიფე-იმპერატორი ვლადივოსტოკში მოვიდა. დილით საკრებულო ტაძარში არქიერმა წირვა გადაიხადა. ტაძარში ყველა სასწავლებლის შეგირდები იყვნენ შეკრებილნი. ამას გარდა დიდძალი მლოცავი იყო. ხალხი ღმერთს ავედრიდა ხელმწიფის კარგად ყოფნას და ბედნიერებას, იმ ხელმწიფისა, რომელიც ათის წლის წინად ამ ქვეყნის განახლების მახარობლად მოვიდა აქა. წირვის შემდეგ სამღვდელოება ლიტანიით გაემართა საადმირალო ნავთ-სადგურისაკენ, სადაც უსამღვდელოესმა ევსევიმ დიდძალი ხალხის თანადასწრებით პარაკლისი გადაიხადა. ამის შემდეგ საბჭოს დარბაზში სადღესასწაულო სხდომა გაიმართა. საბჭოს მოწვევით სხდომაზე მოვიდნენ ყველა უწყებათა, ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენლები; სულ 350 კაცი იყო მოწვეული. საბჭოს დარბაზი მშვენივრად იყო მორთული; დარბაზის შუა ადგილს ამშვენებდა ხელმწიფე იმპერატორის ბიუსტი, მორთული ყვავილებითა და თაიგულებით. გახსნა-რა სხდომა, სამხედრო გუბერნატორმა ჩიჩაგოვმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც გაახსენა საზოგადოებას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისათვის ტახტის მემკვიდრის მოსვლას; მან გაიხსენა აგრეთვე ამ ქვეყნის განვითარების ისტორიაც ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. გუბერნატორის სიტყვის დასრულებისათანავე საზოგადოებამ დაიძახა „ურა“ და სამჯერ საერო ჰიმნი შეასრულა. სხდომა დასრულდა საერო ჰიმნით, რომელიც მთელმა კრებამ შეასრულა. კრების აღტაცება მთელს ქალაქს გადაეცა. ქალაქი გაჩირაღდნებული იყო სალამოს.

ᲙᲐᲞᲨᲢᲐᲓᲢᲘ. ოფიციალურის ცნობით, შეპერსის რაზმი მთაში იმყოფება, ავერდინის ჩრდილოეთით და გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. 600 ბურმა ორის რაზმით, სამხრეთისაკენ მიმავალმა, ტებუსიდან აღმოსავლეთით შვიდი მილის მანძილზე, რკინის გზა გადაიარეს.

ᲡᲝᲤᲘᲐ. ხმელთა შუა ზღვის რუსეთის ესკადრის უფროსი კონტრ-ადმირალი ბირილევი, რუსეთის სამხედრო ატაშესთან ერთად მოვიდა აქა; მას მთავარი მიიღებს. ბოლგარიის ბიუჯეტში აღრიცხულია 95,286,000 ფრანკი განზრახულ, ანუ 64,000 ფრანკით მეტი წინანდელ ხარჯზე.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. გარდაიცვალა პასაჟის და საოპერო თეატრის პატრონი ცნობილი სოლოდოვნიკოვი. გარდაცვალებულს 20 მილიონზე მეტი შეძლება დარჩა.

ᲑᲠᲝᲓᲜᲐ. აპრილის ნახევარს აქეთ ხმელი ამინდი დგას; წვიმა მეტად იშვიათად მოდის. გაზაფხულის ნათესობა და ბალახი ველარ იზრდება.

ᲢᲘᲣᲛᲔᲜᲘ. მთელს გუბერნიაში გვალვა; ჯეჯილები ცუდად ამოდის. სემაჰუდატნსკის ოლქში ტუე იწვის.

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. ელჩებს იმედი აქვთ, რომ რამდენიმე სხდომა საკმაო იქნება დარჩენილი საუურადღებო საკითხების გადასაწყვეტად, რათა ჩინეთის იმპერატორსა და დედოფალს შეაძლებინონ პეკინში დაბრუნება. აქ დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ ბრძანებას, რომელითაც ლიხუნჩანგსა და ტინს ნაბძანები აქვთ მალე დასრულონ მოლაპარაკება, რათა იმპერატორის სახლობას პეკინში დაბრუნება შეეძლოს. ამასთანავე ბრძანებაში იმპერატორი ავალებს ლიხუნჩანგსა და ტინს, რომ უცხოეთის ჯარს მშვიდობიანად შინ დაბრუნება შეაძლებინონ. აქაურ დიპლომატიურ წრეებში ჭორაობენ, რომ იმპერატორის სახლობას ძალიერ სწადიან პეკინში დაბრუნება, რადგანაც სიანფუში ოფონა კუჭირდათ. უმაღლესი მინდობილებით ცხადად ემზადებიან იმპერატორის დასახვედრად.

ᲢᲐᲜᲯᲘᲠᲘ. მაროკოს ტორპედიანმა გემმა „ბეშირსალმა“ სულთანისაგან ბრძანება მიიღო დაუყოვნებლივ მაზიგიანში წავიდეს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდან, რომ მისი უკანასკნელი მოხსენების შემდეგ მოკლულია—63 ბური, დაჭრილია—36, ტყვედ წამოყვანილია—267 და თავის ნებით ინგლისელებს დაჰმორჩილდა—83. ინგლისელებმა დავლად აიღეს—246 თოფი, ბევრი სამხედრო მასალა, 179 ფურგონი და ხელში ჩაიგდეს ბევრი ცხენი და საქონელი.

ᲢᲠᲣᲐ. სამხედრო მინისტრმა, რომელიც გამსასტიურ ვარჯიშობის დროს თავმჯდომარედ იყო ამორჩეული, პრეფექტურაში ოფიცრების მიღების დროს სთქვა, რომ ჯარსარ უნდა ჰქონდეს სხვა საკანი გარდა თავის ძალის გამაგრებისა». იშრომეთ,—სთქვა მან,—რათა გამარჯვება დავამზადოთ. ჩვენი საგნის ასასრულებლად ჩვენთვის საჭიროა მთელი ჯარის უველა წევრების მჭიდროდ დაკავშირება. მამულისადმი სიყვარული გავალებთ თქვენ კაზარ-

მებში იშრომოთ, კარეშე მეფოთს მოერიდოთ და უფოუმანოდ ეცადოთ ჩვენი დანიშნულების შესრულებას, რათა კამარჯვებით მოსილმა ჯარმა ერთ მშვენიერ დღეს დაიჭიროს ისევ ის ადგილი, რომელიც მას ოდესმე ეჭირა».

პეკინი. საზღვაო ჯარის კასვლა ცზინტაუდან უკვე დაიწყო. ხვალ დაიხურება სამოქალაქო ბრეფექტურა. მართლ მსაჯულება ჰეკინის ქალაქის ნაწილებში, რომელნიც გერმანელთაკენ არიან დაკავებულნი, დროებით, კამოსაცდელად, თვე ნახევრის ვადით, ჩინეთის მთავრობას გადაეცა.

პარიზი. ირწმუნებიან, რომ მაროკკო დაკმაყოფილებს საფრანგეთს როგორც მოთხოვნილების უკვლა მუხლებში, აგრეთვე ბუკანიას დატუვევების საქმეშიაც. რაც შეეხება ალჟირის გადასაწყვეტ საქმეებს, უნდა ვსთქვათ, რომ მაროკკოს ერთი მინისტრი მაზანგში წავიდა, საიდანაც ტანჟერისკენ გაემგზავრება. მას მიენდო—ეცადოს, რათა ასრულდეს ის ბრობები, რომელნიც მაროკოს მთავრობამ მიიღო. საგანგებო საელჩო, რომლის მეთაურადაც სულტანის მინისტრი იქნება, პარიზში გაიგზავნება.

პეკინი. საკითხი საზღვარის შესახებ გადაწყვეტილ იქმნება, ალბად, ინგლისის წინადადების თანახმად, რომელსაც თან და თან კეთილის თვალით უყურებენ უველანი. მოკავშირე სახელმწიფოები მოითხოვენ, რათა იმპერატორმა ისეთი ბრძანება გამოსცეს, რომლითაც ადიარებდეს, რომ ჩინეთი მოვალეა სახელმწიფოებს 450,009,000 ტაელი ლ სარგებელი გადაუხადოს, რის შემდეგ სახელმწიფოები თავიანთ ჯარებს გაიყვანენ ჩინეთიდან. ჩინეთი, ალბად, დასთანხმდება სახელმწიფოებს.—ვალდერზეემ, უველა მოკავშირეების სურვილის თანახმად, უცხოელების მიერ დაჭერილი ადგილების წრე შეამცირა.—ჩინელებს მიეცემათ უფლება მართლ-მსაჯულების საქმე თითონ ჭმართონ.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

უურნალ-გაზეთებიდან

გერმანია. «ფრანკფურტერ ცაიტუნგ» ადარებს ნაპოლეონის გადაშქრებას ეგვიპტეში და ვალდერზეეს გადაშქრებას ჩინეთში. ეს გაზეთი ამბობს, რომ როცა ნაპოლეონი პირველად ეგვიპტეში გასადაშქრებლად მოემზადა, იმან გათქმულ «ეკოლ პოლიტესნიკ»-ის 48 მეცნიერი წევრი წაიყვანა თანა და მიანდო, რომ ძველი ეგვიპტეს ისტორია და ძეგლები შეესწავლათ. ამ მეცნიერთა შორის დიდებული გათქმული პირებიც ერიენენ, მაგალითად შამპალიონ უფრო, რომელმაც ეგვიპტეს იერიგლიფების წაკითხვით უკვლავ-ჰეო თავისი სახელი და ეგვიპტეს შესწავლის საქმე მკვიდრ საფუძველზე დააუენა. ჩინეთიც საინტერესო ქვეყანაა; მისი შესწავლაც საჭიროა, ხოლო მისი განათლება ეგვიპტეს განათლებაზე უფრო უძველესია. მაგრამ გერმანიამ არავინ გაგზავნა იქ მეცნიერების გასამდიდრებლად. არც იმპერატორს, არც მეცნიერების აკადემიას ფიქრადაც არ მოუვიდათ გრაფ ვალდეერზეესთან ერთად არქეოლოგებისა, გეოგრაფების და ისტორიოსების გუნდიც გაეგზავნათ ჩინეთში. «ველთ მარშალმა» (სამხედო მარშალმა) მხოლოდ თავისი გათქმული მზარეული წაიყვანა, რომელსაც მეფური ჯამაგირი აქვს, და თავისი სახლი წაიღო თანა, რომელსაც ცეცხლიც ვერას აკლებს...

ნაპოლეონ პირველის ეგვიპტეში გადაშქრებამ მეცნიერება გამდიდრა, ხოლო ჩინეთში გადაშქრებამ იმით გაითქვა სახელი, რომ მოელი ქვეყნები გაანადგურა და ნაცრად აქცია.

ბელგია. კარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს, პარლამენტში მეტად შფოთიანი სცენა მოხდა. როცა ერთმა კლერიკალმა დეპუტატმა პროტესტი გამოაცხადა იმის წინააღმდეგ, თუ პაპის საერო ხელმწიფებას რად უსპობთო, სოციალისტებმა «მარსელიეზა» შემოსძახეს; პრეზიდენტი იძულებული იო სხდომა დაეხურა. როცა სხდომა ხელმეორედ გაიმართა, იტალიის მეფესთან გამწესებული საელჩის ბიუჯეტი პალატამ მიიღო 119 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 1-სა, ხოლო პაპისთან დანიშნული საელჩის ბიუჯეტი მარტო 85 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 55.

ინგლისი. დეპეშებში მოკლედ იო გადმოცემული დეპუტატი ფაულერის სიტყვა, რომელიც მან დეპუტატთა პალატაში ბიუჯეტის წინააღმდეგ წარმოსთქვა. «ეურნალ დე დება»-ს უფრო დაწვრილებითა აქვს მოყვანილი ეს სიტყვა:

«პალატა მზადაა,—სთქვა ფაულერმა,—მიიღოს შესაფერი და საჭირო დოანისძიებანი ჯარისა და ფლოტის გასაძლიერებლად, მაგრამ მთავრობის წინააღდეგი კრიტიკის დირსიც არ არიან და დიდ ვნებას მოუტანენ გაჭრობასა და მრეწველობას. ბიუჯეტში ხსენებაც არ არის იმ უაირათისა, რომელიც მეტად საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც ამ ბოლოს დროს ჩვეულებრივ ხარჯებსაც ასე შესამჩნევად მოემატა 1902 წლის ბიუჯეტი პირდაპირი შედეგია იმ ბოლიტიკისა, რომელსაც ჩვენი მთავრობა 1896 წელს აქეთ დაადგა; ეხლანდელმა მთავრობამ მშვიდობიანი დროის ხარჯებსაც კი 15 მილ. გირვ. სტერლინგი მოუმატა. ფლოტის გაძლიერება საჭიროა საწყრად, რომ ინგლისმა პირველობა შეინარჩუნოს ზღვაში, ხოლო ჯარის მომატება სრულიად უსარგებლოა. ინგლისი ამ მხრივ არ უნდა უწევდეს მეტოქეობას უცხოეთის დიდ სახემწიფოებს. მაგრამ უომოდაც ჩვეულებრივ ბიუჯეტსაც, საკ ერთია, 5 მილ. გირ. სტ. დაკლდებოდა. მთავრობას ეს «მშვიდობიანი» დეფიციტი სამხედრო დეფიციტისათვის ამოუფარებია. რაც შეეხება იმ დანისძიებათა, რომლებიც მთავრობამ დეფიციტის დასაფარავად მიიღო, უნდა ვსთქვათ, რომ ისინი მეტად სამძიმოა ჩვენი ქვეყნისათვის, ხოლო ჩვენ ქვეყანას უჭირს აირათი და კიდევ აირათი. მთავრობა ტუალად სთხოვს პარლამენტს ნდობის გამოცხადებას ამ ბიუჯეტის გამო. პარლამენტის მოქმედება საკადურ თამაშობად გადიქცეოდა, თუ ოოველი წინააღდეგობის გამო ის იძულებული იქნება ანუ შეუფერებელი წინადადება მიიღოს, ანუ სამინისტრო დასცეს».

საფრანგეთი. პალატა შეუდგა იმ კანონის გასწორებას, რომლის ძალითაც საქმის პატრონნი პასუხს აგებენ იმ შემთხვევაში, როცა იმათ მუშებს რაიმე დაუშავებათ. ეს კანონი 1898 წელს გამოიცა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ამ კანონის რამდენიმე მუხლი ისე ბუნდათ იო დაწერილი, რომ სასამართლოები, რომლებიც ამ კანონით ხელმძღვანელობდნენ, ხშირად გაჭირებაში ვარდებოდნენ და ერთი მეორის წინააღმდეგ განაჩენებს აგენდნენ. ამ გარემოებამ საჭიროდ გახადა ამ კანონის გამოცვლა. ამ კანონის 34 მუხლიდან 15 უნდა შეიცვალოს. ამ შეცვლის შესახებ კამათებს პალატა რამდენსამე დღეს მოუნდება. როცა ამ კანონის განხილვას გათავებს, პალატა მუშების საპენსიო კასების შესახებ კანონის განხილვას შეუდგება.

ავსტრია. «ფრანკფურტერ ცაიტუნგ»-ს რამდენიმე ცნობა მოჰყავს იმის შესახებ, თუ რაგორ მიიღო იმპერატორმა ავსტრიის დელეგაციები:

«ავსტრიის დელეგაციების მიღების დროს ჭოფბურგში (იმპერატორის სასახლეში) გერმანელი ნაციონალისტების წარმომადგენლები ირო და ვოლფი სრულობით არ დაესწრნენ. იმპერატორი სულ სხვანაირად მოექცა მადარ-ჩეხების დელეგატებს. მადარ-ჩეხების კლუბის ოფიციალურ მეთაურს იმპერატორმა მადლობა გამოუცხადა «პატრიოტულად და გონიერად მოქცევისათვის» პარლამენტში. იმპერატორმა დასძინა, რომ ის არასოდეს არ დაივიწყებს ჩეხების სიკეთეს. პაცაკმა მადლობა გადუხადა იმპერატორს ჩეხების სასარგებლო სამსახურის აღიარებისათვის და შეჭნიშნა, რომ ჩეხიის ერი კიდევ ნადვილსა ჭეშმარიტებს და იმედი აქვს, რომ სამართლიანობის გრძნობა, რომლითაც აღფრთოვანებულია იმპერატორი, დაკმაყოფილებს ჩეხებს ეგრეთვე პოლიტიკურ და ნაციონალურ საკითხებშიაც. იმპერატორმა უპასუხა: «ეგეც ასრულებული იქნება». ამავე საგანს შეეხო მადარ-ჩეხი სტრანსკიც, რომელსაც იმპერატორმა სიამოვნება გამოუცხადა პარლამენტის საყოფიერი შრომისათვის. სტრანსკიმ უპასუხა, რომ წინანდელი კაჭირვება მხოლოდ მაშინ დაიწყება, როდესაც პოლიტიკურ საკითხების განხილვას შეუდგებიანო. იმპერატორმა უპასუხა: «ეს საკითხები დიდის სიფრთხილით უნდა გადასწყდეს; მე ვფიქრობ, რომ თავის დროზე ესეც შესრულებული იქნება».

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები. 7 მაისს, შეერთებულ შტატებში, კანადაში და მექსიკაში ზაფინების მრეწველობის მუშებმა დიდი კაფიცვა მოახდინეს; მათ ემხრობიან ყველა ამგვარივე მრეწველობის მუშებიც. გაფიცული მუშების რიცხვი 50 ათას კაცამდე ადის; ისინი თხოულობენ 9 საათის სამუშაოდის შემოღებას იმ პირობით კი, რომ ქირა ისევ იმდენი ჰქონდეთ, რამდენსაც 10 საათის სამუშაოში იღებდნენ. ბოლოს დროს მიღებული ცნობების მიხედვით, ბევრ ქარხნის პატრონთ უკვე დაუკმაყოფილებიათ მუშების მოთხოვნილება და გაფიცვა, ალბად, გაფიცულთა გამარჯვებით გათავდება.

— «დეილი მაილ»-ის ცნობით, პრეზიდენტი მაკ-კინლეის სან-ფრანციასკოში ყოფნის დროს, ახალი ჯავშანანი გემი «ოგაიო» ჩაუშვეს ზღვაში. ეს გემი ამერიკის ფლოტში უველა გემებზე დამაზი და ძლიერი იქნება. მაკ-კინლეიმ სიტყვა წარმოსთქვა 4000 მუშის წინ, რომლებიც გემების ამშენებელ ქარხანაში მუშაობენ. თავის სიტყვაში მაკ-კინლეიმ აქო ამ მუშების შრომის მოყვარეობა და ხელოვნება, რამაც შეერთებულ შტატებს შესძინა ახალი ჯავშანიანი გემი «ოგაიო» და აგრეთვე «ოლიმპია» და «ორეგონი», რომლებმაც ასე ისახელეს თავი ამ უკანასკნელ ომის დროსაო. შემდეგ პრეზიდენტმა უთხრათ მუშებს:

«ჩვენ დავიწყირეთ ფილიპინები, პორტო-რიკო და კავაია: ჩვენ გავანათლებთ ამ ქვეყნებს და კეთილ-დღეობას შევძენთ. ნუ თუ ჩვენ ხელიდან უნდა გაუშოთ ეს ქვეყნები?! (მუშები იძახიან: «არა! არა!») ჩვენ, რაც შეიძლება, მეტი გემები უნდა ავაშენოთ. ჩვენ კი გემები უნდა ვიქონიოთ სან-ფრანციასკოსა და ფილიპინებს შუა სავლელად. ეს გემები ამერიკელმა მუშებმა უნდა აშენონ, ზღვაოსნებად მათზე ამერიკელები უნდა იუვნენ და ამერიკის ბაირაღ ქვეშ უნდა იარონ ყველა ზღვებსა და ოკეანებში. ჩვენ უნდა გავაბათ ეგრეთვე წყალ ქვეშ ტელეგრაფის მავთული ფილიპინის კუნძულებამდე, ისე რომ მთელს ქვეყნიერობაზე ვერც ერთმა სახელმწიფომ მისი გაწყვეტა ვერ შესძლოს და ვერც გაბედოს. სამხედრო ბაირაღს ვაჭრობა მისდევს, ხოლო ვაჭრობას ტელეგრაფი უნდა მიჰყვეს».

ახალი ამბავი

✦ **უფის ქალაქის თავმა** წინადადება მისცა სხვათა შორის ტფილისის ქალაქის თავსაც გამოსთქვას თავის აზრი შესახებ ქალაქის თვით-მმართველობათა წარმომადგენლების საზოგადო კრებებისა ზოგიერთ საყურადღებო კითხვების განსახილველად. ბ. ევანგულოვი მოკლე ხანში წარუდგენს საბჭოს მოხსენებას ამ კითხვის შესახებ.

✦ 27 მაისს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება **საზოგადო კრება სახალხო კითხვათა** კომისიის წევრთა, რომელზედაც განხილულ იქმნებიან წარმოდგენების მმართველთა ანგარიშები და აგრეთვე მოხდება არჩევანი სექციების ახალი წევრებისა.

✦ სამშაბათს, 15 მაისს, სხდომა ჰქონდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. საბჭომ, სხვათა შორის, განიხილა-რა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა, რათა მთავრობა დაეხმაროს კომიტეტს გამოფენის გამართვით **მოსალოდნელ დეფიციტის**— 15600 მან. დასაფარავად, დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მიწად-მოქმედების წინაშე აღნიშნულ საქმის გამო საზოგადოების პრეზიდენტის კავკასიის მთავარ-მართებლის შუამავლობით.

✦ **რუქის მექანიურ ქარხანაში** დღეიდან მუშაობა სწარმოებს. ქარხნის პატრონს შემოულია შემდეგი წესი მუშაობისა: მუშაობა გაგრძელდება დილის 6 საათიდან საღამოს ექვს საათამდე; აქედან ერთი საათი (პირველიდან ორამდე) სადილისათვის და $^1/_2$-იც საუზმისათვის არის დანიშნული. ასე რომ ნამდვილი მუშაობა იქნება $10^1/_2$ საათი.

✦ კავკასიის სამხედროო ოლქის ბით მმართველი ბ. ზაგარდსკი წავიდ თაისს სამსახურად [illegible]

✦ ღეს, 17 მაისს, [illegible] 8 ს სხდომა ექმნება [illegible] კომისიას, [illegible] საც მინდობილი აქვს **ქალაქის სახელ სასწავლებლის** გადასაკეთებლად პროე შედგენა.

✦ „ქართველთა შორის წერა-კ გამავრცელებელ საზოგადოების“ სასა ლოდ განზრახული **სეირნობა** გადიდ და 18 ივნისისათვის.

✦ **სოჯახო მრეწველობის** კომ წევრი აგრონომი ფირალოვი მიემგზ კავკასიის სხვა და სხვა ადგილებში საო მრეწველობის ნაწარმოებთა შესაკ ეს ნაწარმოებნი უნდა გაიგზავნონ მო წელში პეტერბურგში განზრახულ ს ხო მრეწველობის გამოფენაზე, ხოლო ნად ბ. ფირალოვის მიერ მოკრებილ წარმოებნი წარდგენილ იქმნებიან კავ სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზ ნიშნულ ნაწარმოებთა შესაკრებად მოქმედების სამინისტროს გადაუდვია მანეთი.

✦ გუშინ, 16 მაისს, საუფლის მამულების გამგე თავ. კოჩუბეი, ტ სის გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი და კავკასიის წყლების ინსპექტორი ბ ნ როვი გაემგზავრნენ დუშეთის მაზრის **ტახტარის წყაროების** დასათვალიერ როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან ლისის ქალაქის გამგეობამ ამ დღეებ ჰმართა თხოვნით თავ. კოჩუბეის ნ ერთოს ქალაქს ისარგებლოს ნატახ წყაროებით.

✦ როგორც აღნიშნული გვქონდ ლაქის გამგეობამ უკვე გარდასწყვიტ ლისში დააარსოს წმ. მაგდალინას ს **ქალთა თავშესაფარი** და კიდეც შეი წესი, რომლის შინაარსი დაახლოვებ ვე გვქონდა მოყვანილი. ქალაქის გ ბამ თავის მხრით ამ საქმეს აღუთქვ მან., ხოლო ხარჯთ-აღრიცხვით, სულ თავშესაფარის შესანახად საჭირო 2292 მან. ეს საქმე გარდაეცა ტფ საბჭოს საფინანსო კომისიას, რომ მიუღია-რა სახეში ქალაქის საფინანსო მარეობა, შეუძლებლად უცვნია ჯ რობით ამ საქმის განხორციელება.

✦ ტფილისის გუბერნიის საქალაქ მეთა **საკრებულოს** მიერ დამტკიც ხარჯთ-აღრიცხვით **ქ. ტფილისის** მიმდინარე წელს უნდა იქმნეს 1.40 მან. უკანასკნელ აღწერით ტფილის ვლება 160.645 სული მცხოვრები, ა სულზედ მოდის 8 მ. 90 კ. ხარჯი.

✦ ფინანსთა სამინისტროს ა ის ფულები, რომელსაც ადმინისტ აძლევენ **კალიასთან საბრძოლველად**, აიღონ საერობო ხარჯთ-აღრიცხვის ნარჩენიდან.

✦ **სევერსკი ბოლკის** 200 წლის ლეის იდღესასწაულებენ 8 სექტემბ

✦ ივნისის პირველ რიცხვებში ტ სის **კადეტთა კორპუსი** წავა საზაფ მანგლისში.

✦ ამ დღეებში პირველ კლასიკუ ნაზიაში შესდგა ხსენებულ გიმნაზი **რაბ მოსწავლეთა დამხმარებელ** ს დების წევრთა წლიური კრებ სულ წლის ანგარიშის განხილვის დ ტიკების შემდეგ შეუდგნენ გა წევრების არჩევანს. თავმჯდომარედ ჩიეს თ. ნ. ვ. არგუთინსკი, მის ამ დირექტორი მარკოვი, წევრებად— კინი, პერშკე და ინსპექტორები— სკი და კუმსკოი.

✦ მომავალ საიუბილეო გამოფ **საპატივცემულო ადგილები** თითქმის ს ბით აღარ დარჩენილა. მსურველთა კი ჯერ კიდევ ბევრია. ამიტომ კომის მეტი ფული შემოუვიდა ადგილების რავებიდან, ვიდრე მოსალოდნელი

✦ მცხეთიდან გვწერენ: „ბრბ **ლებისა**, რომელსაც გამოედევნა ბო

...ის მაზრიდან გადმოსულიყო ს. ქსო-...ში და ერთი მდიდარი მებაღე მოე-...ათ. ბოქაული იქით გაეშურა. ყაჩაღე-...ი წეროვნისაენ გამოქცეულიყვნენ. ...ოვანში კეტებით დაჰხვედროდნენ, მაგ-... შეიარაღებულ ყაჩაღებს თოფი ესროდ... და ერთი გლეხი იქვე მოეკლათ; ...მაისს, დილის რვა საათზე, არაგვის ...ას მისულან და მთელი სამი საათის ...მავლობაში წვალებულან წყალში გასვ-...ას, რადგანაც ოთხ კაცს ჰყოლოდათ მხო-...ოდ ორი ცხენი, რომლებიც წეროვანში ...ეტაცნათ. კეტებით გლეხები შორიახლოს ...ენენ და ახლოს ვერ მიდიოდნენ. მხო-...ოდ ქვებს ესროდნენ. ასე თავისუფლად ...მგზავრნენ საგურამოსკენ, სადაც მამასა-...ისი დახვდათ. ყაჩაღებმა გაატიტვლეს, ...ნისამოსი თან წაიღეს და მამასახლისის ...ეც თან წაიყვანეს, რომ გზა ესწავლები-... ს. მამკოდა გაუვლიათ ბიჭთან ერთად ...ს შემდეგ სად წავიდნენ, აღარ იციან“.

◆ უმთავრეს **სამხედრო სასამართლოს ...ოკურორი** ჩამოვიდა ტფილისში ამიერ კა-...ასიის სამხედრო სასამართლოს საქმეების ...ევიზიოდ.

◆ **მესამე საობლიგაციო სესხის** ნაწი-...ის განაღდება შედარებით პირველ და მე-...ე საობლიგაციო სესხების განაღდებასთან ...ალოთ არ უნდა ჩაითვალოს, თუმცა ...ალქმა 17-ათას მანეთამდე დაჰკარგა ეხ-...ა. პირველ სესხის განაღდების დროს ყო-...ელ ას-მანეთზედ აიღეს 91 მან., მეორე ...სხის განაღდებისა 90 მ. და 50 კ. და ეხ-...ა 91 მ. 50 კ.

◆ კახელ მემამულეს თ. ბ. მ. წერე-...ელს, რომლის მამული სამ-მაზრას (ტფი-...ისის, თელავისას და თიანეთისას) ეხება ...ა ტფილისიდან 75 ვერსტის სიშორეზეა, ...ეუტანია კავკასიის სამეურნეო საზოგადო-...ის საბჭოში განცხადება, რომელშიაც იგი ...ბობს, რომ მზად არის დაუთმოს უსასყიდ-...ოდ 10 **დესეტინა მიწა პარკითურთ სა-...ბდასნო სკოლას**, თუ ხსენებულ საზოგა-...ების საბჭო მოისურვებს გადაიტანოს ...ოლა ქალაქს გარედ ამ მამულის დათვა-...ერება მიენდო ბ. დემენტიევს.

◆ ამას წინად ახალ ამბად გვქონდა ამო-...ებული „ცერკოვნ. ვედომოსტიდან“ **ცნო-...ბ. ნ ი. გოგებაშვილის წიგნების შესახებ.** ...ადგანაც ამბავში ერთი შეცდომა შეგვე-...არა, ამიტომ ვბეჭდავთ ხელ-მეორედ იმავე ...ნობას; უწმ. სინოდის სამოსწავლო საბ-...ოს დადგენილებით 1901 წლის 6—20 ...ებერვალს (№ 112), რომელიც დაამტკი-...ა სინოდის ობერ-პროკურორმა, გარდაწ-...და: იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენი-...ი წიგნები—1) „Русское слово“, или учеб-...ое руководство къ русскому языку для ...узинскихъ школъ, ч. 1-я (изд. VII, цѣна ...0 к.) и ч. 2-ая (изд. V, цѣна 50 коп.) ...а 2) „Руководство для учителей и учи-...льницъ къ преподаванію по книгѣ „Рус-...кое слово“ (изд. 2. ц. 60 к., въ перепле-...тѣ, Тифлисъ 1898 г.)—მოწონებულ იქ-...ნა სახელმძღვანელოდ სახმარებლად რუსუ-...ის ენის სწავლებისათვის ქართულ საეკ-...ლესიო სამრევლო სკოლებში.

◆ მკითხველებმა იციან, რომ ამას წი-...ად აგრონომი სააკოვი გაიგზავნა ბაქოს ...უბერნიაში იქ გაჩენილი **კალიასთან საბრ-...ოლველად** მუშაობის დაწყებისათვის. რად-...ანაც კალიასთან ბრძოლის მუშაობა უკვე ...აუმთავრებიათ, სააკოვი უკვე დაბრუნდა ...ტფილისში და მოკლეს ხანში წარუდგენს ...ათანადო დაწესებულებას ანგარიშს თავის ...ინდობილების შესახებ.

◆ რადგანაც **ბოტანიკური ბაღი** ხაზინისა ...რის და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ...ფლების ქვეშ იმყოფება, ტფილისის ქალა-...ის თავმა მოლაპარაკება გამართა ხსენებულ ...ინისტრის რწმუნებულთან ბ. მედვედიევ-...ან ბრაილოვსკისა და ხატისოვის ცნობილ ...შუამდგომლობის გამო.

◆ რადგანაც ტფილისის ქალაქის სკო-...ლებისათვის ნაქირავები სახლები ვერ აკმა-...ყოფილებენ სასკოლო მოთხოვნილებას, ამიტომ ზოგიერთი გამგენი შუამდგომლობენ, რათა მეტი ფული იქმნეს გადადებული **სასკოლო სადგომების** დასაქირავებლად.

◆ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის თავს—ნუ მოიყვანს სისრულეში საბჭოს დადგენილებას **ნაგვის ფურგონების** გაწყობისა და ამ მიზნისთვის ახალ გადასახადის შემოღების შესახებ.

◆ ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის თავს, რომ იგი თანახმაა დათმოს მარიამ ფრანცს ადგილი **ალექსანდრეს ბაღში** პავილიონის ასაშენებლად.

◆ ამიერ კავკასიის **რკინის-გზის „მოძრაობის“ უფროსი** აქცევს მატარებლების მოსამსახურეთა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ხშირად მთხოვრები შედიან ვაგონში და ავიწროებენ მგზავრებს.

◆ დ. სურამიდან გვწერენ: **„სურამის სამკითხველოს** ძლიერ ცოტა ჟურნალ-გაზეთობა მოსდის, მაგრამ რაც მოსდის, იმასაც ნატრულე ბი ვართ სამკითხველოში მოსიარულენი, რადგანაც აქ „მისწრებაზედ“ არის საქმე: ვინც მიასწრებს, წაიღებს და იშვიათად თუ ვინმე ნახავს შემდეგ წაღებულ ნომერს. **საჭიროა** ბიბლიოთეკას ჰყავდეს ვინმე მეთვალ-ყურე, რომელიც ყურს უგდებდეს ბიბლიოთეკით **სარგებლობის** წესრიგს. სამკითხველოს ეხლანდელ გამგეს, ბ. ხორავას, არა სცალიან ამისათვის საკუთარ საქმეების გამო.“

◆ კიევის ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ შემოწირული 31 მან. 10 კ., რომელიც „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში იყო გამოგზავნილი, კიდეც გაეგზავნა შ. ჩიტაძეს დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

◆ გუშინ, 16 მაისს, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ძმ. პერლოვების ჩაის საწყობიდან გამომავალს ვიღაც მოხუც ქალს მიეპარენ ვიღაც ბოროტ განმზრახველნი და ჯიბიდან ამოაცალეს ქისა, რომელშიაც 6 მან. ყოფილიყო. ქურდებმა ისე მალე მოასწრეს მიმალვა, რომ იქვე მდგომ პოლიციის მოხელეებმა ვერაფერი ვერ გაიგეს.

◆ 13 მაისს, ღამით, პოლიციის მე-10 ნაწილში მიხეილის ქუჩაზე ზალცმანის სახლში უეცრად გარდაიცვალა 70 წლის მოხუცი ივანე ზლობიშჩევი. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილის ბოქაულს შეუტყვია, რომ ამას წინად ს. გომბორში იმა სალიმოღლის მკვლელები ბაქოს გუბერნიის, შემახიის მაზრის მცხოვრებნი ტარველ-ქერბალაი-ოღლი და მამედ-ქერბალაი-იმბრაგიმ-ოღლი პოლიციის მე-8 ნაწილში იმალებიან. ბოქაულს გაუგზავნია პოლიციის მოხელე მათ მოსაძებნად, რომელსაც უკვე მიუგნია იგინი პოლიციის მე-5 ნაწილში ქალანთაროვის ქარვასლაში. დამნაშავენი გარდაეცენ ტფილისის მაზრის უფროსს.

◆ კვირას, 13 მაის, ღამის 10 საათზე, პოლიციის მე-10 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე, პოლიციელმა დაიჭირა ტფილისის მცხოვრები გრ. ჟურავლიოვი, რომელსაც ავდოტია კრივოშეევისათვის მოეპარა სარეცხი და სხვა ნივთები.

შეცდომის გასწორება გუშინდელ მეთაურში შემდეგი შეცდომები შეგვეპარა. **დაბეჭდილია**—ანტიკლერიკალიზმი—ძალაა, რომელიც ებრძვის როგორც დოგმატზედ აშენებულ მოძღვრებას; **უნდა იყოს**—ანტიკლერკალიზმი—ძალაა, რომელიც ებრძვის დოგმატზედ აშენებულ მოძღვრებას.

დაბეჭდილია.—ჩვენს ეკლესიას ევროვნული ხასიათი ჰქონდა, რადგან ქრისტეს მოძღვრება არღვევს ისტორიულ მსვლელობაში მარტო ქართველ ეკლესიას არა ჰქონდა ამნაირი ხასიათი. **უნდა იყოს**—ჩვენს ეკლესიას ეროვნული ხასიათი ჰქონდა. ისტორიულ მსვლელობაში მარტო ქართულ ეკლესიას არ ჰქონდა ამნაირი ხასიათი.

დაბეჭდილია.—ან რა არის, თუ არ გამწვავებული ეროვნული ბრძოლა ტფილისის ხმოსანთა არჩევნების კითხვა, რა არის, თუ არ თავგასული ეროვნული ბრძოლა ტფილისის ხმოსანთა არჩევნების კითხვა, რა არის, თუ არ თავგასული ეროვნული ჯიუტობა და სხვა. **უნდა იყოს**—ან რა არის, თუ არ გამწვავებული ეროვნული ბრძოლა ტფილისის ხმოსანთა არჩევნების კითხვა, რა არის, თუ არ თავგასული ეროვნული ჯიუტობა ეხლანდელ ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება არჩევნების რიგის-შეუცვლელობის კითხვაში?

ქალაქის საბჭო

15 მაისი.

ქალაქის საბჭოს 15 მაისის სხდომაზე 6 საქმე იქმნა განხილული.

საბჭოს წარედგინა მოხსენება 1900 წლის ქალაქის დეფიციტის შესახებ. 1900 წელს ქალაქის გასავალ-ხარჯთ-აღრიცხვის შესრულებით ქალაქს 17,541 მან 63 კაპ. დეფიციტი მოუვიდა, რომელიც უმთავრესად ეკუთვნის დასაფასებელ დარჩენილ გარდასახადს. ქალაქის გამგეობას, რომელსაც საბჭოს საფინანსო კომისიაც დათანხმებია, დაუდგენია, აღნიშნული დეფიციტი შეტანილ იქმნეს ამ მიმდინარე წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში დასაფასებელ იმ გარდასახადების რიცხვში, რომელთა აკრეფაც მოსალოდნელია. გამგეობის წევრმა ბ-ნმა შესტაკოვმა განაცხადა, რომ ქალაქის წყლის საიჯარო ფული მცხოვრებლებზე დარჩენილი იყო 23,000 მანეთამდე, რომელთაგან შემოვიდა კიდეც 11,000 მანეთამდე და ამიტომ, ჩემის აზრით, უკეთესი იქმნება აღნიშნული დეფიციტი წყლის შემოსავლის ანგარიშში იქმნეს მიღებულიო. საბჭომ მიიღო ეს წინადადება.

ამ რამდენიმე ხნის წინად, როგორც აღნიშნული გვქონდა, ინჟენერებმა ხატისოვმა და ბრაილოვსკიმ ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანეს იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ მათ სოლოლაკის კლდის ქვეშ საბოტანიკო ბაღამდე ტუნელისა და შიგ ელექტრონით მოძრავი რკინის გზის გაყვანისა ტფილისის აბანოებამდე. ქალაქის გამგეობამ, განიხილა რა ეს განცხადება, დაადგინა წარედგინა იგი საბჭოსათვის, რათა ამოერჩიათ კომისია, რომელსაც მიენდობოდა ამ საკითხის შემუშავება და საკონცესიო პირობის პროექტის შედგენა. ამასთანავე გამგეობამ დაადგინა შეეკითხონ მიწად-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულს, მათის მხრით ხომ არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ იქმნება აღნიშნულ ტუნელის ბოტანიკურს ბაღამდე გაყვანის შესახებ და შეატყობინონ ბელგიის უსახელო საზოგადოებას, თანახმად ხელშეკრულებისა, თვითონ ხომ არ მოისურვებს საზოგადოება აღნიშნულ ტუნელის გაყვანას?

თავ. ა. ბებუთოვი. პრინციპიალურად მე არაფერი არ მაქვს საწინააღმდეგო მიეცეს კონცესსია აღნიშნულ პირთ, მაგრამ არ შემიძლია საბჭოს ყურადღება არ მივაქციო შემდეგ გარემოებას: 1860 წლებში, მთავრობის განკარგულებით, შესდგა მცოდნე გეოლოგთა კომისია, რომელსაც დაევალა გამოეკვლიათ, თუ ქალაქის ცხელ წყაროებს საიდან აქვთ მომდინარეობა; გეოლოგთა მოსაზრება არ არის გამორკვევით გამოთქმული. როგორც ვიცით, ტფილისის მინერალური წყლები დაბახანის ღელის ორივე ნაპირებზე გამოდის და ამიტომ შესაძლებელია უმეტეს წილს ცხელის წყლისას მომდინარეობა ჰქონდეს სოლოლაკის კლდის ქვეშ და რაღა თქმა უნდა იქ ტუნელის გაყვანა მეტად ავნებს წყაროებს. ამიტომ, ჩემის აზრით, საჭიროა სახეში ვიქონიოთ აღნიშნულ ინჟინერთა განცხადების დაკმაყოფილების დროს ეს გარემოება, ვიდრე მაგ საკითხს გადავწყვეტდეთ.

ხმ. ი. ანანოვი. მე არ ვედავები თავ. ბებუთოვის განცხადებას და შესაძლებელია სოლოლაკის გორას ქვეშ ტუნელის გაყვანა მაზარალებელი იქმნეს ცხელის წყლებისათვის, მხოლოდ ვიტყვი, რომ ამ საკითხს ახლო კავშირი აქვს საზოგადოდ ქ. ტფილისის წარმატების საქმესთან. ტფილისი დღეს ის აღარ არის, რაც ამ 20—30 წლის წინად იყო, და განსაკუთრებით დაჰკარგა მან ბევრი მას შემდეგ, რაც მის ორივე კუთხით ბათუმსა და ბაქოსკენ რკინის გზები გაიხსნა, ტფილისის წარმატებისათვის დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ბათუმი და ბაქოც შედარებით რკინის გზის გამართვის შემდეგ როგორ მალე გაიზარდნენ! ჩვენ ქალაქს ყოველ წლობით თანდათან ემატება მოთხოვნილება და წყაროსაიდანაც კი შეგვეძლოს ცოტაოდნად მის საჭიროებათა დაკმაყოფილება, არა გვაქვსრა. ტფილისის წარმატებისათვის ამ 30 წლის განმავლობაში აღძრული საკითხები—განათება, ქუჩების მოკირწყვლა და სხვა მრავალი—ისევ ისე გამოურკვეველ მდგომარეობაში არიან. ამიტომ ყოველთვის უნდა მივეგებოდ გულით ისეთ [illegible] ქალაქის გასაუმჯობესებლად შემოსაღები იქნება. ამას გარდა ინჟინერების ხატისოვისა და ბრაილოვსკის განცხადების განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ექმნება სხვა მხრივაც. ამ ორი თუ სამი წლის წინად პეტერბურგში მკურნალთა კრებაზე გამოირკვა, რომ თითქმის მთელს რუსეთის საკლიმატო სადგური არა აქვს და ამ მხრით, როგორც სპეციალისტების გამოკვლევამ დაგვანახვა, ტფილისი საუკეთესო ადგილია, მხოლოდ საჭიროა შრომა, რომ აღრევე შევქმნათ ტფილისი საკლიმატო სადგურად. ტფილისის დაუფასებელი და ულევი სიმდიდრე ეს მინერალური თბილი წყლებია, რომელნიც ვისაც კი უნახავს ევროპიელთაგანს, განცვიფრებაშია, რომ იგი ვერ მოგვიწყვია, ვერ შეგვიმზადებია იმდენად, რომ მითი სარგებლობა შეეძლოს გარეშეთაც. ჩემის აზრით, თქმა არ უნდა, რომ ეს უძვირფასესი განძი, ჩვენგან ასე მიგდებული, უკეთესად გვქონდეს მოწყობილი, ბევრნი მოგზაურნი მოეტანებიან ტფილისს და აქედან ყოველთვის ქალაქს დიდი სარგებლობა ექმნება. ქალაქის საბჭოს ყოფილმა წევრმა ბ. ნიკო ნიკოლაძემ მშვენიერი პროექტი შეიმუშავა ოთხმოცდა ათ-წლებში იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამშვენიერებულიყო ტფილისის აბანოების საქმე; მაგალითად, მათი ევროპიულს გემოზედ მოწყობა, იქამდე სწორი და ფართო ქუჩების გაყვანა და სხვანი. მხოლოდ, სამწუხაროდ, ბ. ნიკოლაძის პროექტის განხორციელებამ მილიონები მოითხოვა და ჩვენ საიდან შეგვეძლო მისი გაკეთება. ჩვენ მდიდრები ვართ ბუნებით, მხოლოდ არ შეგვიძლიან ისე მოვაწყოთ ეს სიმდიდრე, რომ მას მიეცეს მნიშვნელობა ქვეყნიური და აქედან სარგებლობა ტფილისს. საყვარელ ტფილისის წასარმატებლად სულით და გულით უნდა მივეგებოთ ინჟენერთა ბრაილოვსკისა და ხატიროვის განცახდებას და მივცეთ ნება აღნიშნულ ტუნელის გაყვანისა.

ცოტა ხნის კამათის შემდეგ, საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება და, როგორც გუშინდელ №-ში მქონდა მოყვანილი, ამოირჩია 10 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ამ საკითხის გამო შემუშავებულ პროექტი წარმოუდგინოს განსახილველად ქალაქის საბჭოს 11 ივნისამდე. საბჭომ აგრეთვე მიიღო შემუშავებული წესი ძმათა ამიროვების სახელზედ მოსკოვის უნივერსიტეტში ორის სტიპენდიის დაარსების შესახებ. ამიროვების შეძლებიდან აღნიშნულ მიზნისათვის გადადებულია 20600 მან., რომლის სარგებელით ტფილისის მცხოვრებთაგანი ეროვნებისა და სარწმუნოების მიუხედავად 2 სტუდენტი უნდა იქმნეს გამოზრდილი; თუ ვინიცობაა ტფილისში გაიხსნა ოდესმე უნივერსიტეტი, აღნიშნული სტიპენდიები გადმოტანილ იქმნეს მოსკოვიდან ტფილისში. დასასრულ საბჭომ გაიხილა თეოდორე ნერინგის **განცხადება** ქალაქის გამგეობის სასამართლოს **ბასუხის**გებაში მიცემის შესახებ. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად ქალაქის სამუშევრის აღსრულების დროს უცაბედათ გადმოვარდა სამუშევრიდან ტფილისის მცხოვრები ფილიპე ნერინგი, რომელიც მორჩენელი იყო მოხუცებული დედ-მამის და ცოლისა. საბჭომ გადაუწყვიტა მისცემოდა ფილიპე ნერინგის სახლობას 2400 მან. და ჩამორთმევოდა ხელ-წერილი, რომ მეტი აღარა ეთხოვათ რა. მამა ნერინგისა თეოდორე ეხლა იმას ჩიოდა, რომ ქალაქის გამგეობამ განზრახვით ფილიპეს სახლობად მარტო მისი ცოლი კი არა, ჩვენც, დედ-მამაც, მიტომ ჩაგვთვალა, რომ ხელი მოგვეწერა და ამიტომ აღარასფერი აღარ მოგვეთხოვა ქალაქისაგან, მაშინ როდესაც საბჭოს დადგენილების აზრით სახლობად ითვლება ფილიპეს ქვრივი და ჩვენ ისევ უფლება გვაქვს კიდევ მოვითხოვოთ გამგეობისაგან სარჩენი ფულიო. ამ განზრახვისათვის

გამგეობა პასუხის გებაში უნდა იქმნეს მიცემულიო. საბჭომ ერთ-ხმად დაადგინა უყურადღებოდ იქმნეს დატოვებული ნერინგის განცხადება.

ქვემო მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოების კრება.

ქვემო მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოების წევრთ ორი კრება მოახდინეს ამ მოკლე ხანში მიხეილ ნასიძის თავმჯდომარეობით. 22 აპრილს კრებაზე საზოგადოებას უნდა განეხილა წარსულ წლის ქრისტიშობისთვეში მომხდარს წლიურ კრებაზე ამორჩეულ კომისიის ანგარიში. ამ კომისიას ჰქონდა დავალებული, მოეყვანა ცნობაში ყოველივე ამხანაგობის ქონება, გაესტუმრებინა მოვალეები და შეეგროვებინა ნისიები. კომისიას (ღ. მ. ბენაშვილსა, ნ. პოპიშვილსა და ი. ჩიგოგიძე) აუნუსხავს მხოლოდ ქონება. კრებაზედაც კი არ დაესწრნენ ზოგიერთნი (ჩიგოგიძე) და არც რიგიანი მოხსენება წარმოუდგინეს წევრთ. ავი იყო, თუ კარგი, კრებამ მოისმინა ღ. ბენაშვილის აზრი. ბენაშვილმა პირველად აღნიშნა ქონების გაფლანგვა გამგეობის წევრათ ნამყოფ ბ. ყიასაშვილისაგან (1400 მანეთისა). „ჩვენ დავიბარეთ ყიასაშვილი, მაგრამ არ მოვიდა და არც თავის გასამართლებელი საბუთი წარმოგვიდგინა რამეო (ყიასაშვილი კრებაზე არ დაესწრო)“. თ. ა. დასასმაძე კითხულობს: „ქონება და ანგარიშები ვინ ჩამოართვა, ან გასაღებები საჭრო სახლიდან ვინ გამოართვა ყიასაშვილსაო. თანაც უმატებს, რომ ნება არავისა ჰქონდა ყიასაშვილისთვის ჩაებარებინათ ვაჭრობა უკრებულოთაო. დ. ნადირაძე (მაჩხანელი). მე და ეგნატე მენთეშაშვილმა რამ ენჯერმე დავიბარეთ გ. ტყავაძე და ილიკო მენთეშაშვილი, მაგრამ პირველმა შემოგვითვალა, მე მოხელე ვარ და არა მცალიან მანდ სასიარულოდაო, მეორე კი არ მოვიდა და არც პასუხი მოგვცა. მე და ეგ. მენთეშაშვილმა შევამოწმეთ დავთრები და აგზომ-ავწონეთ ქონება. ყიასაშვილი კალოებზე წავიდა სავაჭროდ, გასაღებები მე და ივ. გომელაურმა ჩავიბარეთ, რომ ყიასაშვილს თუ სავაჭრო კიდევ დასჭირდებოდა, გაგვეგზავნა. ყიასაშვილი კალოებიდან დაბრუნდა, აღარც ანგარიში მოგვცა და ახლოც არ მოგვეკარაო. ჯერ იყო მახარაძემ აზარალა ამხანაგობა, ახლა კი ყიასაშვილმა მოუღო ბოლო. ზოგიერთს კი ჰგონია, მე ჩამოვართვი ყიასაშვილს ანგარიში. მე თუ მიმიღია, სადმე ხელი მეწერება იმაზე. ბ. ბოსტაშვილი აწყვეტინებს ნადირაძეს ლაპარაკს და ეუბნება სხვათა შორის, ჩვენ შენ განდეთ ფულები, შენ გვაზარალე; მახარაძეს ან ყიასაშვილს რათ აბრალებ. ნადირაძე ჯავრობს, ხმაურობაა. გ. ტყავაძე. ნადირაძემ თუ მე არ მახსენა და ცილი არ დამწამა გული არ გაუძლებს. მე რევიზიის წევრი არა ვარ. მე ყოველთვინ უარს ვაცხადებდი წევრობაზე. მონაწილეობას ვიღებ როგორც წევრი და გულშემატკივარი ამხანაგობისა. ყიასაშვილმა მთხოვა, დავსწრებოდი ანგარიშებზე, რომელსაც ნადირაძე და მენთეშაშვილი ართმევდნენ. მთხოვა დავსწრებოდი ანგარიშის ჩამორთმევაზე ივ. გომელაურსაც. რამდენჯერმე ჩამოვედი, თითონ ივანე გომელაურთან ვიქირავე ცხენი, ვსთხოვ დაამოწმოს (გომელაური ამოწმებს). თუ დილით ჩამოვედი, მითხრეს ხვალ საღამოთი გვექნება ანგარიშებიო, თუ საღამოთი მოვედი, მაშინ კი ამბობდნენ ხვალ დილით იქნებაო. სავაჭრო სახლი დაკეტილი იყო. ამ გარემოებაში მე არ შემეძლო მთელი კვირაობით აქ ვყოფილიყავ და მეცადნა მაგათთვის. აბა დამისახელოს, ვისის პირით შემოუთვალე უარი? მოხელე კი არა, უსაქმო კაციც არ ივლიდა უმიზნოთ. მახარაძეს ერთი წლის წინათვე ჰქონდა ნათხოვნი, მოეძებნათ სხვა კაცი. ეს კარგად იცის თავ. დიასამიძემაც. კაცის შოვნა და ამხანაგობის აღებ-მიცემობის გაუმჯობესობაც კომისიასა ჰქონდა დავალებული. ამ კომისიამ არც კაცი იშოვა და არც შეგვატყობინა, რა გააკეთა. მახარაძე თავს ანებებდა ამხანაგობას და ღვთისანაბარა სტოვებდა ვაჭრობას. იმისი გარემოება ისე მოეწყო, რომ აღარ შეეძლო გაჩერება. მთავრობაც თხოულობდა და ძალათ შეეძლო წაეყვანათ. რამდენჯერმე მთხოვა მახარაძემ ჩამოვსულიყავი და მიმელო სხვებთან ერთად ქონება—მე უარზე ვიყავი, მაგრამ როცა დავინახე კრება არ ხერხდებოდა და საქმე განსაცდელში იყო, მეც ჩამოვედი და ნადირაძესთან და ეგ. მენთეშაშვილთან და ივ. გომელაურთან ერთად შევამოწმეთ ქონება—ჩამოვართვით და რადგან სხვა არავინ იყო, ყიასაშვილს ჩავაბარეთ. ამაზედ თანახმა ბრძანდებოდა ი. დიანამიძეც. ყიასაშვილი უარზედ იდგა, ჩვენ კი ძალით ჩავაბარეთ დროებით—კრების მოხდენამდე. კრება აღარ შესდგა და ყიასაშვილიც დარჩა. კარგია—მე კიდევაც ჩავაბარე, ეხლა ვიღამ გამოაბარა, რატომ აღარ შემატყობინეს? ვიცით, რაც ჩავაბარეთ ყიასაშვილს, მხოლოდ ვიდრე გავიგებ რაღა ჩამოართვეს, არ შემიძლია პასუხი მოვთხოვო. ეხლა მაგაზედ ლაპარაკი მეტია. ნადირაძე ამბობს, არ ჩამიბარებიაო, მაშ გასაღებები რაღათ მიიღო! ილ. მენთეშაშვილი, თ. დიასამიძე და სხვანი ამტკიცებენ, ყიასაშვილმა ჩააბარა ქონება ნადირაძესაო. თავმჯდ. ნასიძე. მე ის დასკვნა გამომყავს, რომ ყიასაშვილისაგან ქონება მიუღია ნადირაძეს, მხოლოდ აკლია ქონება და ამაში ყიასაშვილია პასუხის მგებელი. თავ. დიასამიძე. ეხლა ჩვენ უნდა გადავსწყვიტოთ, თუ რა ვუყოთ ქონებას. კომისიას დავალებული ჰქონდა, მიეცა ვისთვისმე დაკლებულის ფასებით.—კომისიამ მარტო ის გააკეთა, რომ 40 მან. შეაგროვა. ჩვენ უნდა ვეცადოთ ვალები ზოგიერთი გავასწოროთ. ტყავაძე. ჩემის აზრით, უნდა ვიშოვნოთ კაცი, ჩავაბაროთ მას ქონება, დავავალოთ ნისიებიც შეაგროვოს, რაც შეგროვდება, და ვალებიც გაისტუმროს—რაც გადარჩება ვალებს, ის წევრებს დაურიგდეს. ივ. გომელაურს უწერია მომეტებულ ვექსილებზედ ხელი, მაგას უჩივიან, მაგისივე ფულია დახარჯული, იქნებ იკისროს, ჩაიბაროს და გაისტუმროს მოვალეები. ვალი ყველასი ვალია—ჩვენ მოვალენი ვართ ყველა მოვალე გავისტუმროთ,—ვისიც კი გვმართებს. თავ. დიასამიძე. ვეთანხმები ტყავაძის აზრს იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთი მოვალეები ეხლავე გაისტუმრონ. კრებამ მიიღო ტყავაძისა და დიასამიძის აზრი, მხოლოდ გომელაურის არჩევაზედ ვერ შეთანხმდნენ და ვერც სხვა გამოსძებნეს ვინმე. ყველა უარს აცხადებდა. ბენაშვილმა ითხოვა, გასაღებები ჩაბოეთმევინათ და რაკი არავინ ჩამოართვა, თავმჯდომარეს დაუწყო წინ.—თავმჯდ. ნასიძე. რაკი არავინ კისრულობს, გასაღებები ჩაიბაროს, მე ჩემის უფლებით ვაბარებ ივ. გომელაურს. გაისმა ხმა—არ გვინდა, არ გვინდაო, ხალხი აირ-დაირია და გავიდა გარედ. თავმჯდომარეც თან გაჰყვათ. ბენაშვილმაც გასაღებები ისევ თან წაიღო და კრებაც დაიხურა.

(დასასრული იქნება)

პროვინცია

ქუთაისი. რამდენიმე თვე იქნება მას აქეთ, რაც ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა გაუგზავნა ამავე ბანკის გამგეობას «დეპუტაცია» იმის გასაგებად, თუ რა მიზეზების გამო გამგეობა არავითარ პასუხს არ იძლევა ზედამხედველ კომიტეტის მოწერილობებზე. დეპუტაციისათვის, რა საკვირველია, ძნელი არ იყო ბანკის დარბაზის ერთი ოთახიდან მეორეში გასულიყო და აესრულებია კომიტეტის მინდობილება: დაეკითხა გამგეობას და რა მიიღო უკანასკნელისაგან პასუხი—სულ მალე მოგაწვდენთ ყოველივე ცნობებსო—დაკმაყოფილდა და კომიტეტიც დაწუნარა; მხოლოდ რადგანაც ბანკის გამგეობამ თავისი ზნე-ჩვეულება ვერ შესცვალა და არ ათხოვა უარი კომიტეტის მოწერილობებს, კომიტეტი ცოტა გაცხარდა, მაგრამ მაინც სუბუქად მოეკიდა თავის კანონისტრატეს: მიწერა ის თავის კრებაზე და შეგობრულად მოახსენა, რომ გამგეობას არც ერთი მოწერილობა კომიტეტისა არ შეუსრულებია, გარდა ბ. კ. მარჯანოვის საქმისა, რომელიც მოუვანილ იქმნა სისრულეში მხოლოდ შემდეგ ქუთაისის ოლქის სასამართლოს და ტფილისის პალატის გარდაწყვეტილებისა. კანონისტრატემ მოითხოვა ბოდიში კომიტეტის წინაშე და დაჭიარდა მას ცოტა ხანში ყველა მოწერილობების სისრულეში მოყვანა. ეს დაპირება დაპირებად დარჩება და კომიტეტი ისევ მოიწვევს თავის კანონისტრატეს და შეგობრულ საუბარს ეტყვის. კანონისტრატეც, ეჭვი არა არის, გამოძებნის რამე მიზეზს და ჩაუქრობს ზედამხედველ კომიტეტს გაჯავრების ცეცხლს. ამბობენ, ზედამხედველ კომიტეტის მოწერილობათა უპასუხოდ დატოვებას მათი არ სრულება კანონისტრატემ მეტად საპატიო მიზეზით ახსნა: «სად მეცალა ეხლათქვენი ქალაქლებისათვის, როდესაც ჩვენ საერთო მტერს ს. გ. წერეთელს ვებრძოდი და ვებრძვი; იგი არ უნდა დასმტკიცონ მარშალის თანამდებობაზე, ღვთისა და ჩემის წყალობით არც დასმტკიცებენო». ჩვენი უბედური ბანკის საქმეები კი მეტად სამწუხარო მდგომარეობაშია ეხლანდელ გამგეთა წყალობით. არა თუ ენერგია და ინიციატივა, აღმასრულებელ ნიჭსაც მოკლებული ეოფილა ამ უბედურ დღეს გახსნილ ბანკის გამგეობა: საზოგადო კრებები და ზედამხედველი კომიტეტი ავალებენ ბანკის გამგეობას სხვა და სხვა ზომების შემოღებას, მაგრამ გამგეობა ჯიუტობს და არაფერი სისრულეში არ მოჰყავს. რაც შეეხება ზედამხედველ კომიტეტის მოწერილობებს, ეს ხომ ვიცით. არც საზოგადო კრებების განაჩენებს დასდგომია უკეთესი დღე. ბანკის სასარგებლოდ და მსესხებლების მდგომარეობის გასაადვილებლად საზოგადო კრებამ დაადგინა კონკურსიის მოხდენა; მაგრამ ბანკის გამგეობამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ აზრის იყო მთავრობის რეგიზორიც, არ შეასრულა ეს სასარგებლო განაჩენი. საზოგადო კრებისა; მან ვერ ისარგებლა 1899 წ. მოამარჯვებული დროთი, როდესაც კურსი მაღალ იდგა და ვერ მოახდინა კონკურსი, რითაც დიდი ზარალი მიაყენა ჩვენ დარიბ ბანკს. ამავე გამგეობამ არ მიიღო თავის დროზედ ზომები და არ გაუფართოვა რაიონი თავის ოპერაციებისა და სხვ. ამას ეხლა ის უბედურებაც მიემატა, რომ ჩვეულებრივი საზოგადო კრებები მთავრობამ შეაჩერა, წარმომადგენელები დადუმდნენ და იმ კომისიამაც, რომელსაც უკანასკნელმა საზოგადო კრებამ დაუკადა ბანკზე დარჩენილ მამულების საქმეების განხილვა მოასწო თავისი სიფოცხლე მაგრამ არც ასე მიერუება შეიძლება; ზედამხედველი კომიტეტი ხომ ძალიერ ეფერება ბანკის ცნობილ გამგეობას და არ სურს აწყენინოს მას, ამიტომ საჭიროა სხვებმა ითხოვონ ამას უარი შეუძლებელია გულზე ხელ-დაკრეფილი ვიცქიროთ, როგორ კადდის ჩვენი ბანკიდან სხვა ბანკებში მამულები, როგორ თან-და-თან უმცირდება ჩვენ ბანკს ოპერაციები; ყოველმავე ამან, როგორც ხმა ისმის, მიიქცია ეურადღება რამოდენიმე წარმომადგენელთა, რომელნიც აპირებენ თხოვნის გაგზავნას საზოგადო კრების მოხდენის შესახებ. იმედია, თხოვნა შეწყნარებულ იქნება. ზედამხედველ კომიტეტსაც შეეძლო, რაკი არ მიიღო მან გამგეობისაგან არავითარი პასუხი თავის დაკითხვაზე, აღეძრა შუამდგომლობა საზოგადო კრების მოხდენის შესახებ; ჩვენის ფიქრით, კომიტეტი უფრო ადვილად მიაღწევდა მიზანს, ვიდრე რამოდენიმე წევრნი თავის თხოვნით, მაგრამ ამას საზოგადო საქმის სიყვარული და მის გაძღოლის უნარი უნდა.

ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების კრება მოხდება ქუთაისში, როგორც ეს დადგინა დამაარსებელთა კერძო კრებამ.

დ. მ.

საღამოს დეპეშები

16 მაისი.

ბრიუსელი. გამოაცხადეს გაზეთში მიღებული ოფიციალური დეპეშა, რომლიდანაც სჩანს, რომ 20 აპრილს კალგარიელთან, ბ... ტორიის ახლო, ბურებს ბაიერისა და ... ...